თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და
კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

42(077)
ო-284

ხელნაწერის უფლებით

მანანა ღარიბაშვილი

ვიდეომასალების შედგენისა და გამოყენების მეთოდიკა მეორე უცხოური ენის სწავლებისას უმაღლეს სასწავლებლებში (ინგლისური ენის მასალაზე)

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

13.00.02 – სწავლების მეთოდიკა

თბილისი 2005

ნაშრომი შესრულებულია ი.გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათელა დოღონაძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: ნათელა იმედაძე
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ნანა ახობაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 15 12, 14.00 საათზე, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში სადისერტაციო საბჭოს **(P 10.01 N 1)** სხდომაზე

მისამართი: (0162, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, № 45).

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 14 11

სადისერტაციო საბჭოს სწავლული
მდივანი, პროფესორი ლ.გვასალია

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института иностранных языков
им. И. Чавчавадзе

- 2029 -

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თანამედროვე საზოგადოებაში ტექნიკის სწრაფ განვითარებასთან ერთად იზრდება ტექნიკური საშუალებების გამოყენების მნიშვნელობა განათლების სისტემაში, კერძოდ კი - უცხოური ენის სწავლებისას. დიდი ხანია, რაც აუდიომასალების გამოყენება ენების სწავლების აუცილებელ კომპონენტად იქცა. თუმცა ვიდეომასალების გამოყენებას ჯერ-ჯერობით საყოველთაო ხასიათი არ მიუღია, იგი სწრაფად ფართოვდება, ერთის მხრივ, უამრავი ლინგვოდიდაქტიკური უპირატესობის, ხოლო მეორე მხრივ, სათანადო ტექნიკისა და მასალების დღეისათვის მისაწვდომობის გამო. კინინჯერი მიუთითებს, რომ ვიდეომასალების გამოყენება საშუალებას იძლევა დავძლიოთ სტატიკური სასწავლო მასალების არაადეკვატურობა, რაც დინამიკურ რეალიზმს შეიტანს სასწავლო პროცესში.

ვიდეომასალების შედგენა-გამოყენების უკვე საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილების მიუხედავად, მეთოდურად ისინი დღემდე ხშირად ნაკლებად შთამბეჭდავია, რის გამოც აქტუალურად მივიჩნევთ ვიდეომასალებთან მუშაობის ეფექტური მეთოდიკის შემუშავებას.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლის ენობრივ ფაკულტეტზე მეორე უცხოური (ინგლისური) ენის სწავლებისას ვიდეოტექნიკის გამოყენება და იმ მეთოდების ძიება, რომლებიც ამ პროცესს წარმატებით განხორციელებას განაპირობებს.

კვლევის მიზანია ვიდეომასალების გამოყენებით მეორე უცხოური ენის სწავლების ისეთი მეთოდიკის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურობის ზრდას.

კვლევის საერთო მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში შემდეგი ამოცანებია დასახული:

1. ფსიქოლინგვისტურ ასპექტში: ვიდეომასალებში ასახული ენისა და კულტურის ერთობლიობის კვლევა, ენის სწავლებისას და ვიდეომასალების გამოყენებისას ავთენტიკურობის